ოთხშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 21 № 152
ყოველდღიური გაზეთი

ოთხშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 21 № 152
ფასი 40 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა

რედაქცია.
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.
რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.
გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.
კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

ალექსანდრე დავითის ძე თორაძე, მატრონა მოსეს ასული ცქიტიშვილი, სერგო მანუჩარისძე ჩიქოვანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ პირველი მეუღლის და მეორენი საყვარელი ასულის

## მარუსია თორაძის

გარდაცვალებას. მიცვალებული გამოსვენებული იქნება დასაკრძალავათ ოთხშაბათს 21 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, (ძველი დროით) გოკიელის სახლიდან, ვორონცოვის ქუჩა.

---

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მოსწავლე ახალგაზდობის კომიტეტი, ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს თავის წევრის სტუდენტის — ჯარის კაცის

## გიზო ოთხმეზურის

ტუაპსის ფრონტზე ბოლშევიკებთან გმირულათ დაღუპვის გამო.

---

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ეკატერინე ფირანის ასული, შვილი კუკური, მშობლები ვარლამ მარკოზის ძე და მარიამ ნიკოლოზის ასული ბახტაძეები, ძმა გრიგოლ ბახტაძე, და ნადეჟდა (ცუცა) ბახტაძის ასული შერვაშიძისა, სიძე კადირ ბეგ შერვაშიძე შვილებითურთ, ბიძა ნიკოლოზ მარკოზის ძე ბახტაძე, ბიცოლა ოლღა ბახტაძისა, მამიდები: ოლღა მარკოზის ასული თურმანიძისა და ეკატერინე ბახტაძე, მამიდაშვილი ვლადიმერ მიხეილის ძე თურმანიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პოდპორუჩიკ

## ვასილ (ვასიკო) ვარლამის ძის ბახტაძის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე 7 საათზე, და კრძალვა მოხდება აგვისტოს 23 პარასკევს, ნაშუადღევის 4 საათზე (ძვ. დროით) ოლასკურის სასაფლაოზე, ბალის ქუჩა საკუთარი სახლი.

(გ—ა)

---

ღრმად დამწუხრებულნი და ნადეჟდა (ცუცა) ბახტაძის ასული შერვაშიძისა, სიძე კადირ ბეგი შერვაშიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პორუჩიკ

## ვასილ (ვასიკო) ვარლამის ძის ბახტაძის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე 7 საათზე, დაკრძალვა მოხდება აგვისტოს 23, პარასკევს, ნაშუადღევის 4 საათზე, (ძვ. დროით) ოლასკურის სასაფლაოზე, ბალის ქუჩიდან, საკუთარი სახლი.

---

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის" კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდათ ან უთავდებათ დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

---

კბილის ექიმები
მ. ი. ახვლედიანი და
ო. დ. პროშლიაკოვა
ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს.—2 ს და საღამოს 5 ს.—7 ..
მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

ექიმი
ზ. ა. ეზიკაშვილი
მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6 დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). თ.

იყიდება სამხატვრო ყუთი ნიგვზის ხისაგან გაკეთებული. საღებავები, კისტები და სხვა სამხატვრო მოწყობილობები. იკითხეთ „ჩვ. ქვეყნის" რედაქციაში.

Продается ящик для художника из орѣховаго дерева. краски, кисти и различныя художественныя принадлежности, справляться в редакцію газеты „Чвени Квекана".

---

## ეროვნული თუ პარტიული ინტერესი.

სოციალისტები ფიქრობენ სოციალიზმის განხორციელებას. როგორ მოეწყობა ცხოვრება სოციალიზმის დროს ეს დაწვრილებით არავინ იცის; მხოლოდ ვიცით დანამდვილებით, რომ იმ დროს დამყარდება სრული ეკონომიური თანასწორობა: არა ერთი წევრი საზოგადოებისა არ მიიღებს და არ დახარჯავს სხვა წევრზე მეტს არაფერს.

საკითხი, იმის შესახებ, თუ ვინ არის ქვეყნის მტერი, ერთგული მუშა თუ ერთგული მუშის მტრად დამსახველი — ჩვენ ამჟამად განზე დავტოვოთ: ჭკუად მყოფი ადამიანი ამას ადვილად გაიგებს და უჭკუოს და ჟინიანს კი აგრე ადვილად ვერას შეაგნებინებ.

ჩვენ სხვა საკითხი დავსვათ.

როგორ წესიერად მიდის სახელმწიფოში სახელმწიფო მოვალეობის ასრულება და სამსახური!

მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფოში სხვა და სხვა თანამდებობაა; ყოველ თანამდებობის პირს ერთი განსაზღვრული სამსახური ერთი განსაზღვრული საქმე აქვს დავალებული; პირნათლად მოვალეობის შესრულება მოითხოვს, რომ მოსამსახურემ ამ მოვალეობას მთელი თავის ძალღონე შეალიოს. თუ მოსამსახურეს თავისუფალი დრო აქვს (სახალხო განათლების სფერო მაქვს სახეში), მან ეს დრო თვით განვითარებას უნდა მოახმაროს, რომ მისი შრომა საპედაგოგიო სარბიელზე უფრო ნაყოფიერი იქმნეს.

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ ერთმა და იმავე პირმა ერთსა და იმავე დროს ორი—სამი თანამდებობა პირნათლად შეასრულოს, ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო!, „ერთ ხელში ორი ნესვი არ დაიკავებაო" მაშ ტყუილად უთქვამს ჩვენ ხალხს?

ჩვენ ვიცით, რომ ძველ რუსეთში იყვნენ ისეთი მემამულეები, რომლებიც უმეტეს ნაწილად საზღვარ გარედ ცხოვრობდენ, რუსეთში კი სხვადასხვა გუბერნიებში მამულებში ჰქონდათ, და იმ მამულებიდან შემოსავალს ღებულობდენ თუმცა ორ სამ წელიწადში ერთხელ თუ გაივლიდენ იმ მამულში გასასეირნებლად, დასახედავათ.

ეს აუტანელი იყო.

ეხლა მიბძანეთ, როდესაც რომელიმე პირი რამოდენიმე სხვადასხვა დაწესებულებაში მსახურობს და, რასაკვირველია, წელიწადში ერთჯერ ორჯერ, თუ შეხედავს ამ დაწესებულებებში, თორემ იქ მუშაობის დრო და თავი არ აქვს და ჯამაგირებს კი ათასობით ღებულობს ყველა ამ დაწესებებიდან, — ეს მისაღებია სახელმწიფოში?!.

ფულის აღება გაურჯელად შეუწყნარებელი რამ არის, მაგრამ აქ განა საქმე მხოლოდ ფულის აღებაშია?

არა, ბატონებო, აქ საქმე იმაში, გახლავსთ, რომ ნამეტანი ხარბად სახელმწიფოს სიმდიდრის გატაცება ღუპავს და ამის დარდი სრულიადაც არ აწუხებსთ, მათ ვინც ოქროს კერპს ისე ემსახურება, რომ მას სხვა ყოველივე ავიწყდება.

ჩემი პატარა შენიშვნა სახალხო განათლების საქმეს ეხება, — ეს ის სფეროა რომელმაც უნდა აღამაღლოს და განაახლოს ჩვენი დაცემული ერი; ეს ის სფეროა, რომელმაც უნდა ასწავლოს ჩვენ ერს, თუ როგორ უნდა ამოღება იმ აუარებელ სიმდიდრეს, შემოქმედმა რომ დედა მიწის გულში ჩაფლა და ადამიანს უანდერძა; ეს ის სფეროა რომელმაც უნდა აიგოს მიუდგომელი ციხენი სამშობლოისა სახელოვან მამულიშვილთა აღზრდით...

როგორ უნდა გაკეთდეს ეს დიდი საქმე ამ სფეროში, თუ ერთ კაცს ცხრა საქმე ექნება ხელში?

გადაშალეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 11 მარიამობისთვის ნომერი და დაინახავთ რომ სახალხო განათლების მინისტრი სოციალისტ ფედერალისტი ბ. ლასხიშვილი თავისიანებს, სოციალისტ ფედერალისტებს ორ ორ თანამდებობაზე ნიშნავს და ამასთანავე ისეთ დიდ და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, რომ ისინი თითოსაც თუ შეასრულებენ, როგორც რიგია.

შეიძლება ლასხიშვილის „შუქურ ვარსკვლავთა" პარტიაში დიდ თავიანი „ტკაცები" საჭირო იყოს, მაგრამ რა მაინც და მაინც ფედერალისტები გამოვიდნენ გენიოსები და დიდი თავიანები. საქმე შეიძლება თხოულობდეს გენიოსობას, მაგრამ უბედურება იმაში

# დღეს.

**წერილები.**

კ. ლომთაძე—ეროვნული ინტერესი და ფედერალისტები.
ი. დიდიძე ჯარის შესახებ.
ს. ყიფიანი—საკვირაო საუბარი.

**ცნობები.**

განსაკუთრებული რაზმის მოქმედება. არჩევნები სოფლად. ლეჩხუმის ამბები. გენერალ სუმბათაშვილის დეპეში. ახალი ამბავი და სხვა.

---

არის, რომ პატარა საქართველოში ისეთ პატარა და თითქმის უმნიშვნელო პოლიტიკურ პარტიას, როგორც არის სოც. ფედერალისტთა პარტია, სურს სახალხო განათლების სათავეში ყოფნა. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცნობთ სოც. ფედერალისტებს, ვიცნობთ მათ ნიჭის ორიგინალობას და გენიოსობას და ამიტომაც ვეკითხებით შეუძლიათ მათ დიდი მოვალეობის ასრულება?

ამის პასუხი საჭიროა.

კ. ლომთაძე.

## ჯარის შესახებ.

სრულიად სამართლიანად და მიზან შეწონილად უნდა ჩაითვალოს რომ, ამჟამად ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ ჯარის შესახებ.

ჩვენთვის გამორკვეულია საკითხი, რომ ჯარი უნდა იყოს რეგულიარული.

საქართველოს ეყოლება წესიერი, დისციპლინის მატარებელი ჯარი. თვინიერ ჯარისა საქართველოს დამოუკიდებლობა ზღაპარია. მოკლე ხნის მწარე გამოცდილებამ დაარწმუნა ყველა, რომ პარტიული რაზმები სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებას სამარეს უთხრის. რაზმობის და გვარდიის ხანაში იყო, რომ ქართული ლაშქარი პარტიულ ბრბოს დაემსგავსა, რომელიც მოპირდაპირე პარტიის რაზმს ნამდვილ მტრად რაცხდა და ომის ასპარეზზე ხიფათში ჩავარდნილს არ ეშველებოდა. ბათომის დაპყრობის დროს ერთმა პარტიის რაზმმა მეორის საწინააღმდეგოდ პოზიცია მიატოვა. უკანასკნელ დროს ზეკარის მთებიდან გამოქცევით თავი ისახელა ნ—ს დაქირავებულმა რაზმმა. ამ საგანზე მრავალ სიტყვიანობა ზედმეტად მიგვაჩნია და ჩვენ გვინდა ვიწამოთ, რომ ახლა საქართველოში ყველა ერთხმად მოითხოვს რათა პარტიულ რაზმობის და გვარდიის სეზონი დაიკეტოს, რაც უნდა მცირე იყოს ჯარი თუ კი იგი დისციპლინიანულია და მორჩილებათ უფროს უმცროსობის ნიადაგზეა აღზრდილ-გაწვრთნილი, სახელმწიფო ყოველ უკიდურეს განსაცდელში ენდობა და დაემყარება ასეთ ჯარს. ჯარში აუცილებლად უნდა მოისპოს კომიტეტები, ყოველგვარი მიტინგები, და აიკრძალოს პარტიულ პოლიტიკური ქადაგება.

თუ საქართველოს მთავრობა ენდობა ჯარის მთავრობას, რაღა საჭიროა, რომ ამ მთავრობას ჯარისკაცებმა კონტროლი გაუკეთონ. ჯერ-ჯერობით ჯარს ისევ სტანჯავს ის საწამლავი, რომელიც მან რუსეთის ჯარის გახრწნის დროს შესვა.

რის გამოც ზოგიერთ ნაწილებში ჯარის კაცები თვალებს აპყრობენ „რევოლუციებისკენ“. მაგრამ ეს დროებითია და მალე გაჰქრება. სამაგიეროდ ბევრია ისეთი ნაწილებიც რომელის ჯარისკაცებიც აცხადებენ, რომ მათ არ სწამთ პარტიობა, მიტინგები, ისინი არიან მთავრობის მორჩილები და უარჰყოფენ კომიტეტებს.

იმის შესახებ არ ვილაპარაკებთ თუ როგორი სახით და წესით უნდა მოხდეს საბოლოოდ ლაშქრის მოწყობა. ეს მიგვინდვია სამხედრო მეცნიერების მცოდნესათვის და პარლამენტისათვის.

შევეხებით პრაქტიკულ ხასიათის გარემოებას, რომელსაც ჯარის საკითხში სერიოზული მნიშვნელობა აქვს.

რუსულ ავადმყოფობით მოშხამული და დაშლილი ქართული ჯარი პირველად ინტელიგენციამ აღადგინა, დღეს ჯარი უკვე ფეხზე არი წამომდგარი და შეკრებას განაგრძობს.

ხალხი ამბობს: აქვე ჩვენში, თუ რუსეთში არ გადაგვკარგავთ, სამსახური როგორ დაგვეზარებაო' ანარქიულ რაიონებიდან მთავრობამ ზარბაზნების შიშით გამოიყვანა სამხედრო ვალდებულნი მაგრამ მარტო ჯარის მოწვევა როდი კმარა. ჯარს მოვლა უნდა, მეომრის სახის მიცემა და გაწრთვნა.

ამ მხრით კი მეტად უნუგეშო მდგომარეობაში ვიმყოფებით.

ახლად გამოწვეულ ჯარისკაცებს თავის დროზე არ აქვთ სურსათი. ისინი ვერ ღებულობენ ტანსაცმელს ფეხშიშველა და ტანშიშველი დადიან რაც უარყოფით მოქმედებს ჯარისკაცზე. ღმერთმა დაგვიფაროს და თუ დროზე შესაფერი, ყურადღება არ მოექცა, დეზერტირობის დროც გაიხსნება.

ჯარის ტეხნიკურად მოწყობის სიმახინჯეში ბრალი აქვთ სხვათა შორის იმ პირთ, რომელნიც თავის ადგილზე არ არის და ჯარის საქმეში ხელის ფათურით ბევრს აშავებენ. უდიდესი სიფრთხილით და სადი წესებით უნდა ხვდებოდეს მთავრობა ახალ ჯარს, თუ მას არ უნდა საქართველოს სიკვდილი.

ნურავინ იტყვის, რომ ქართველ ჯარს მამაპაპური ვაჟკაცობა დაეკარგოს. სამშობლოს სიყვარულით დაეწყებოდეს.

ეს მართალი არ არის!.. ქართველი თუ მას [illegible] მეთაური — წინამძღოლი ჰყავს და [illegible] მაინც უწყობს ხელს, დღესაც ლომია, მამულისთვის თავდადება შეუძლია.

ზეკარის მთებში ჩვენ ვნახეთ 12 წლის ბავშვი, მოხალისე ჯარისკაცი, რომელიც ცამდე ასულ მთიდან ისარივით ეშვებოდა და ყვიროდა:

„ჩქარა ტყვიები, ეს და ეს როტა შეტევაზე უნდა გადვიდესო.

ბავშვი ძირს დაეშვა, მტერს წინ გაუარა და მთაზე ტყვია ამოიტანა.

კიდევ გვწყალობს ძველი მადლი.

ოღონდ გვყავდეს კარგი მეთაურები და საქართველოს ლაშქარი ქვეყანას დაუმტკიცებს მამულის სიყვარულს, სახელმწიფოსადმი ერთგულებას.

ი. დიდიძე.

## საკვირაო საუბარი. *)

**დასასრული**

რამდენად გამხნევდება ამით მშიერი სამღვდელოება და ბერობა ძნელი სათქმელია, მაგრამ, თუ ორი სამი წელიწადი გაგრძელდა ასეთი ჯილდოების ხანა, მგონი, შავ-მოსილი და თეთრი სამღვდელოების ნაცვლად, ჩვენ გვეყოლება მხოლოდ ყვითელი სამღვდელოება.

და მოგახსენებთ, რომ სიყვითლე ერთნაირი ავადმყოფობაა, რომელსაც გვარიანი ექიმობა სჭირია. ისაა, როგორც მოგეხსენებათ, რომ საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადდა და იმდენი სიკეთე ღმერთმა მე მომცეს, რამდენი მუჯლუგუნი ჩვენს მთავრობას მოხვდა შინიდან და გარედან და ძლივს ამ მუჯლუგუნების წყალობით გადავადგმევიეთ სუვერენობის ნაბიჯი სოციალისტურ მთავრობას.

რატომ კუნკტატორობდა, რატომ იგვიანებდა?

ალბათ იმიტომ, რომ სოც. მთავრობამ იცოდა იმის სუვერენობას სულ ვერანობა მოჰყვებოდა საქართველოსი და გავერანებულ სახელმწიფოში მართებლობა თავის თავს კარგად ვერა გრძნობს ხოლმე.

და, სამწუხაროდ, მათი წინაგრძნობა სავსებით გამართლდა:

აღარც სასიმიდეში, აღარც ბეღელსა და ხაროში მარცვალი აღარ მოგვეძებნება, ქურსა და მარანში საზიარებელი ღვინის შოვნა სჭირს, ძველის გადაბრუნება-გადმობრუნების შემდეგ ტანისამოსი დაგვიცვდა, დაიცხრილა და დასაკერებელი ნაჭრის შოვნა რომ არ გაგიჭირდეს, ძაფს ხომ ვერ იშოვი და ვერა: შვიდკაპიკიან კოჭას თუმნათ და თოთხმეტ მანეთად ვეღარა ვშოვობთ გარეცხა დღეის იქით სულ აღარ შეიძლება, საპონი წამლადაც არ იშოვება.

ხაზინა მაინც მთლად გაკოტრების კარამდი მივიდა თითქვის: ვისაც ორიოდე კაპიკი ჰქონდათ შენახული შავი დღისათვის, ამის თავის დროზე მიღების იმედი წაექცათ: ღებულობენ არა თავის საჭიროების მიხედვით, არამედ ხაზინაში მოსამსახურეთა კაი გუნებაზე დაყენებით და „პროცენტის“ გამოკლებით.

ამას გარდა, ამ ზამთარში, როგორც ამბობენ, თუ საჟენი შეშის ფასი 500-600 მანეთამდი ავიდა, მარტო ცოლქმარის კი არა, ვიგინდარებსაც ერთსაბანს ქვეშ მოუხდება წოლა არა მარტო ღამღამობით, არამედ დღისითაც და მაშინ ნახავთ, ახალ გაზაფხულზე რამდენი გაორკეცებული ქალიშვილი გამოვიდეს ქუთაისის ბულვარდზე სასეირნოთ.

თუ მართლა ეს გაორკეცება მოხდაო, ერთმა სოციალისტ-პუბლიცისტმა მითხრა, მართებლობა თავის მიზანს მიაღწევსო: როგორ და—როგორ, მეთქი!

—„ამ ანარქიის გამო რომ სამოქალაქო ომი სწარმოებს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, ამის გამო ხომ მოქალაქეები იხოცებიან და ერის წევრთა შემცირება— ნამდვილი ერის ფიზიკურად შესუსტებაო;

და ამის წამალია სწორეთ გაორკეცებულთა სიმრავლე, რომელიც პოლიტიკურს მნიშვნელობასაც არაა მოკლებულიო.“

**დავიჯერე.**

ეს, რა საკვირველია, დასაჯერებელია და დავიჯერე, მაგრამ იმის დაჯერება კი ძნელია, ვითომც სასურსათო კომიტეტებს არაფერი გაეკეთებიოს ხელმოკლე მცხოვრებთათვის ეკონომიურათ და სოციალისტურად: ვიცით რომ ეს დაწესებულებანი სწორეთ ამ მიზნით იყო დაარსებული. ბოროტი ენები კი დაჟინებით ამბობენ:

ვინც ამ დაწესებულებებში იყო ფეხ ჩადგმული, ყველამ ხელი მოითბოო.

ჩინებულათ გამოაწყვეს თავის საოჯახო საქმეები: უზრუნველ ჰყვეს თავის თავი და ოჯახობა ფეხსაცმელით, ტანსაცმელით, რჩეული და უხვი სანოვაგით; ჯამაგირები იმდენი დაინიშნეს, რამდენიც სიზმრათაც არ მოეჩვენებოდათ სხვა დროს, სალიკვიდაციო სასყიდელიც იმდენი დაინიშნეს, რომ მეორე და მესამე რევოლუციამდი თავს ჩინებულად გაიტანენო.

ზოგიერთები იმასაც ამბობენ, რომ სურსათისტებმა და კოოპერატორებმა ახალი უძრავი მამულები შეიძინეს, ძველები გადააკეთეს, გაამშვენეს, გალაქეს, გააჩირაღდნესო.

და ახლა ჩვენ ხელმოკლე მოქალაქეებს რომ ჰრაქი გვინთია, მათი სახლები ელექტრონით არის გაჩახჩახებული და ნავთი ხომ საცურავათ აქვთო, ისინი რომ თეთრ პურს შეექცევიან, ჩვენ შავი პური და ცივი მჟადი ნატეხი გვაკლიაო; ამ ზამთარში რომ ჩვენ შევცივდებით, მათ ბუხარსო და ღუმელებში რცხილის შეშა იგუზგუზებსო. ტანისამოსსზე და ფეხსაცმელზე ახლაც ეტყობათ, რომ სიტის ლორდებივით გამოდიან ზოგიერთებიო“.

მე ეს არ დამიჯერებია და არც დავიჯერებ, მაგრამ ხმა ღვთისა ხმა ერისაო, ხომ მოგეხსენებათ.

მაგრამ ესეც საგულისხმოა, რომ ახლა არც ღვთისა სჯერა ვისმე და არც ერის.

სამ. ყიფიანი.

*) ეს წერილი კვირის ნუმერში უნდა დასტამბულიყო.

# საქართველო.

## მთავრობის მოქმედება.

აფხაზეთის საქმეებთან დაკავშირებულ საკითხების გასარკვევად არჩეულ იქმნას კომისია შემდეგ პირთაგან: იუსტ. მინისტრი შ. ალექსი-მესხიშვილი, შინ. საქმეთა მინისტრის ამხან. კ. საბახტარაშვილი, შრომის მინისტრის თანაშემწე გ. ერაძე. ამ კომისიაში შედის ის. რამიშვილიც. კომისიას ევალება იქონიოს მსჯელობა აფხაზეთის საქმეებზე აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციასთან ერთად და წარმოადგინოს თავისი მოსაზრება ორი დღის განმავლობაში.

— მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრისა ხოლერის ეპიდემიასთან საბრძოლველად ტფილისის საგუბერნიო-სასანიტრო აღმასრულებელ კომისიის 200000 მ. მიცემის შესახებ გადაეცეს თავის აზრის დასასკვნელად სახელმწიფო კონტროლიორს.

— გაუქმებულ იქმნას ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის მიერ 15 ივნისის 1917 წ. შემუშავებული დებულება კავკასიის ფრონტის ლტოლვილთა მოწყობის შესახებ. გაუქმებულ იქმნას აგრეთვე საბჭოს და აღმასრულებ. კომ. კავკ. ფრონტის ლტოლვილთა მოწყობისათვის თავისი რწმუნებულებით და კანცელიარიით. ლტოლვილთა საქმის გამძღოლა მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიეცეს უფლება ყველა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელიც დაკავშირებულია ლტოლვილთა მოწყობასთან. ყველა სათანადო კრედიტები იმყოფებოდეს შინაგან საქმეთა მინისტრის განყოფილებაში.

## ეროვნულ საბჭოში.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ჩხეიძემ შემდეგი დეპეშა მიიღო ოზურგეთიდან:

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ, გურიის სამღვდელოება პირველად შეიკრიბა და შემდეგი დადგენილება გამოიტანა: გურიის სამღვდელოება აღფრთოვანებით ეგებება გმირ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და ღვთის წინაშე აძლევს ფიცს, რომ ყოველთვის ყველაფერში ემსახუროს რესპუბლიკის ინტერესებს და დამოუკიდებელ სახელმწიფოს განმტკიცებას. ეროვნულ საბჭოს უსურვებთ გამარჯვებას შინაურ და გარეულ მტერთან ბრძოლაში და დემოკრატიული სახელმწიფოებრივი დასაბამებისგასამაგრებლად. კრების თავმჯდომარე იოანე კაჭახიძე.

## განსაკუთრებული რაზმის მოქმედება.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ბორჯომში გაიგზავნა განსაკუთრებული რაზმი, რომელმაც აღმოაჩინა რაოდენიმე ათასი მანეთის ყალბი ფული. დაიჭირეს იოსებ თარონაშვილი და მეიერ კაკიტელაშვილი.

ამავე რაზმმა თბილისში აღმოაჩინა ფულის საბეჭდი პრესი და 17 ათასი მანეთის ყალბი ფული. დაიჭირეს იოსებ ბაროსძე გაბელია; თეოფანე კუჭავა, სამუალ ოშილჩიკი და თარონიშვილის ცოლი. მინისტრის განკარგულებით საქმე გადაეცა გამომძიებელს.

## არჩევნები სოფლად.

არჩევნები სოფლად რომ უკანონოდ ტარდება მართლდება. ბევრ სოფლებში მთავრობის პარტია ძალადობას ხმარობს და გლეხობას ტერორით ემუქრება თუ ისინი ხმას სხვა პარტიებს მისცემენ.

აქვე ვათავსებთ არჩევნების შედეგს რამდენიმე სოფლებიდან, რომელიც მიიღო სამაზრო საერობო კომისიამ.

| | № 1. | № 2. | № 3. |
|---|---|---|---|
| ნაგარევი | 20 | 24 | 20 |
| კვახჯირი | 106 | " | " |
| გოდოგანი | 101 | 39 | 52 |
| ჭალასთავი | 65 | 24 | 13 |
| ჰოგნარი | 68 | 8 | " |
| მაღლაკი | 73 | 99 | 36 |
| ქვიტირი | 189 | 14 | " |
| ბანოჯა | 84 | 19 | " |
| სულ | 776 | 227 | 121 |

## ლეჩხუმი.

(დეპეში)

18 აგვისტოს, დილით გაგზავნილ იქნა მზვერავები შტ. კაპიტანის ქლენტის მეთაურობით, რომელსაც უნდა დაეთვალიერებია ს. ოპიტარა და ლაჩეპიტა. აღნიშნულ სოფლებში შენიშნული პირები გაჩხრიკეს. უკან დაბრუნებისას მათ ჩაუსაფრდენ მოწინააღმდეგენი და სამის მხრით სროლა აუტეხეს, რის დროსაც მოგვიკლეს ორი, დაგვიჭრეს ერთი. დაჭრილების წამოყვანა ჩვენებმა შესძლეს. მათი მხრით მოკლულია 3 კაცი.

პოლკ. ზაქარიაძე.

## ზენ. სუმბათაშვილის დეპეში სამხდრო მინისტრს.

ლეჩხუმის მიმართულებით ჩვენი რაზმი მიიწევს სოფელ ზაგიბასაკენ, რათა საბოლოოთ დაიკაონ ოსეთის სამხედრო გზა. ოსეთის სამხედრო გზაზე ჩვენ დავიკავეთ სოფ. მექვენა და მდინარე რიონის ორივე მხარეზე მდებარე სოფლები. ხონის მიმართულებით ჩვენი რაზმის მიერ დაკავებული არის სოფ. ძეძილეთი და სიმაღლე 3098. რაჭის მიმართულებით ტყიბულიდან გასულმა ჯარმა დაიკავა სოფ. ნიკორწმინდა. ჯარის წინ სვლა გრძელდება.

# უცხოეთი.

## რუსეთი.

— მოსკოვში გაზეთი „ნოვაია ჟიზნი“ სამუდამოთ დახურეს.

— დიბენკო და კოლონტაი, რომლებიც ერთ დროს საბჭოთა მთავრობის შემადგენელობას ავსებდენ არიოლში სცხოვრობენ მატროსებთან ერთად და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან.

— მოსკოვიდან იუწყებიან: იაროსლავი არტილერიის ცეცხლით საშინლათ დაზიანდა. განადგურებულია მთელი უბნები. ცეცხლმა იმსხვერპლა დემიდოვის ლიცეი თავისი სამკითხველოთი.

— კიევიდან იუწყებიან: წესრიგის დაცვისათვის, მთავრობამ რამოდენიმე გამოჩენილი პირი დაიჭირა. დაჭერილთა შორის ყოფილი მინისტრი პეტლიურა იმყოფება, ვინაიდან იგი უკრაინაში დამკვიდრებულ მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებდა. დაკავებულია აგრეთვე გამოჩენილი მემარჯვენენი მიჟიცკი და პელოვანი.

— ნიჟნი ნოვგოროდში დაიჭირეს და დახვრიტეს ბევრი თეთრ-გვარდიელები: დაჭერილები მოსკოვში იგზავნება.

— მოსკოვიდან იუწყებიან: ხელახლავ დაიჭირეს პურიშკევიჩი.

— ბეჭდვის ბიურო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან გვატყობინებს 15 აგვისტოდან. ჩეხო-სლოვაკების ფრონტი. აღმოსავლეთის ფრონტი. ალაპაევის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა დაიჭირეს სადგ. ანდრაცტი. ტაზგლის მიმართულებით მტერი უკან იხევს. ნიკოლაევის მიმართულებით მტერი უკუ ვაქციეთ. ჩვენ ხელთ ვიგდეთ 400 საარტილერიო ყუმბარები. ჩვენი ნაწილები მიუახლოვდნენ სიმბირსკს. ყველა თავის ფოსტებზეა.

— ვოლოგდიდან გვატყობინებენ, რომ ინგლის-საფრანგეთის ნაწილების არხანგელსკზე იერიშის დროს დაიღუპნენ საგუბერნიო სააღმასრულებლო კომიტეტის წევრები. ზანკევიჩი, კუკუნი და სხვა. რამოდენიმე დეპუტატები და კომისრები დატუსაღებულია.

— ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ბრძანება 13 აგვისტოდან. კომისარის ამხანაგი პოდბელსკი მოუწოდებს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს ეხლანდელ პასუხსაგებ მომენტში მედგარ და თავგანწირულ მუშაობისთვის.

„ეხლა, — ამბობს სახალხო კომისარი, ადგილი არ აქვს რყევას. ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენს წინააღმდეგაა.“

— სახალხო კომისარს ატყობინებენ ზოგიერთ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა შორის საბოტაჟზე. მუშათა მთავრობა ამიერიდან არ დაუშვებს ასეთს სამწუხარო ფაქტებს. დასასრულ პოდბელსკი მოუწოდებს მოსამსახურეებს შეერთებისკენ.

— პროვინციებიდან მოდის ცნობები ახალი მოსავლის შესახებ. მოსავალი ზოგან კარგია.

— ხარკოვის პურის მომყვანთა კავშირის კომიტეტმა დაადგინა აცნობოს საოლქო კავშირს პურის მონოპოლიის მაგივრად იქნეს პურის დასამუშავებელი ბეგარა.

**სიკვდილის დასჯის შემდეგ.**

— ნამეფარ ნიკოლოზ მეორის სიკვდილით დასჯის შესახებ „პოლონური გაზეთი“ შემდეგ დაწვრილებით ცნობებს იძლევა: — სიკვდილის დასჯის განაჩენი შუაღამისას მოიყვანეს სისრულეში, როცა მთელ ქალაქს ეძინა.

— ყოფილ მეფის მოკვლის ამბავი ქალაქსა და მის მიდამოებს დილით მოედვათ. ქალაქში გლეხთა ბრბოები შეცვივდა, ყვირილით: „მოგვეცით მეფე“ ო სამხედრო კომისარმა ბრძანება გასცა, რომ ხალხისთვის სროლა აეტეხნათ. გამხეცებულმა ბრბომ კომისარი იქვე მოჰკლა და გვარდიელებს მისცვივდა, გვარდიელები გაიქცნენ.

## სომეხი ლტოლვილები ჩრდილო-კავკასიაში

„მშაკი“ გვატყობინებს, რომ ამიერკავკასიიდან რუსეთისკენ წასული სომეხი ლტოლვილების დიდი ნაწილი დასახლებულა სტავროპოლის და ყუბანის ოლქებში.

მათი ერთი ნაწილი დარჩენილა ზმეისკაია, ალექსანდროვსკაიას და გოსუდარსტვენნაის სტანიცებში.

ამ სტანიცებში ლტოლვილთა პირველ ჯგუფისთვის მიუციათ ადგილები იმ მიწის ფონდიდან, რომელიც ჩამოურთმევიათ ყოფილ მიწის მფლობელებისთვის.

სტავროპოლის გუბერნიის ვორონცოვო-ალექსანდროვსკაიას სტანიცაში დაუსახლებიათ 10,000 ლტოლვილი ყარსის და ალექსანდროპოლის ოლქებიდან გადასახლებულნი.

— როგორც გვატყობინებენ, თერგის მთავრობას განზრახვა აქვს შეჰქმნას განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელიც უნდა დაეხმაროს ლტოლვილებს ჩრდილო-კავკასიაში.

## სომხეთის ამბები.

14 აგვისტოს ჰაიასტანის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი ა. ჯამალიანი ნახეს შინაგან საქმეთა მინისტრ რამიშვილმა და გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწემ. საუბრის დროს ნ. ბ. რამიშვილმა, სხვათა შორის, შეატყობინა, რომ გერმანიაში მყოფი საქართველოს დელეგაცია დეპეშით იუწყება, რომ სტამბოლის კონფერენცია 10 დღის შემდეგ დაიწყებაო.

— სომხეთის მისსია იტყობინება, რომ მალე თბილისის და ერევანს შუა დაიწყება რეგულიარათ წასვლა-წამოსვლა ჰაეროპლანებით.

— როგორც გვაცნობებს „ორიზონი“, სომხურ სამხედრო კორპუსის უფროსის განკარგულებით 16 აგვისტოს სომხის ლაშქრის ყველა ნაწილები დათხოვნილი არიან; შემდეგ კი დაიწყება ახალი ჯარის მოწვევა ერთი დივიზიის შესადგენათ. დივიზია შესდგება 6 პოლკიდან და სხვა საჭირო სამხედრო ნაწილებისაგან.

# ახალი ამბავი

## ქუთაისი

✦ **დელეგაცია ზუგდიდიდან.** გუშინ გუბერნიის კომისარს კიდევ წარდგენ ზუგდიდის მაზრიდან გამოგზავნილი დელეგაცია. დელეგაცია ითხოვს სამხედრო მოქმედების შეწყვეტას და საქმის მშვიდობიანათ მორიგებას.

✦ **ბაქოს ამბები.** ბაქოში ინგლისელების ჯარი შესულა. ძალა უფლება ზომიერ სოციალისტების ხელშია. ბაქოს მდგომარეობა უმჯობესდება. რადგან ინგლისელთა მაშველი ჯარი მიმატებია ადგილობრივ ჯარებს.

✦ **ხოლერა.** გუშინ ავათ გახდა ხოლერით ქსანდოპულოს ბავშვი, ფერმის ქუჩაზე. ცეცხლაძის ქალი თბილისის ქუჩაზე.

✦ **სასურსათო საქმე.** ქუთაისის სასურსათო კომიტეტმა როგორც ვიცით მოქმედება უკვე შესწყვიტა, მაგრამ იმავე დროს არც ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას დაუწყია მუშაობა.

✦ **თავდასხმა ანაკლიაში.** ბოროტგამზრახველებმა თავს დაესხა ანაკლიის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებას. მოიტაცეს ფული და სახელმწიფო მოსამსახურეთა ქონება და მიიმალენ. მათ წინააღმდეგ ზომებია მიღებული.

✦ **დაგვიანება.** ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეები სამსახურში დროზე არ დადიან. მოთხოვნილება უხდებათ.

✦ **აფხაზები.** როგორც აფხაზეთიდან გვატყოგინებენ იქ კვლავ უჩენია თავი ოსმალთა აგენტებს, რომელნიც მოუწოდებენ ხალხს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.

✦ **თავდასხმა.** ხონის და ქუთაისს შუა ბოროტგამზრახველები თავს დაეხენ მიმავალ მგზავრებს, წაიღეს რამდენიმე ათასი მანეთი და მიიმალენ.

✦ **ნავთი.** თელავი. ს. ახმეტაში გაჩაღებული მუშაობაა ნავთის შესაძენათ.

**შეცდომის გასწორება.**

ჩვენი გაზეთის მე-151 ნუმერში კ. ქ. **კაპანელი-ჭანტურაის** წერილში „ეროვნული სული“ შემდეგი კორექტურული შეცდომები შეგვეპარა:

მესამე სვეტში ზევიდან მე-13 სტრიქონში არის **კიოკრეტიული** — უნდა იყოს — **კონკრეტიული**. იმავე სვეტში ქვევით არის: **შებრძოლების გრძნობა** უნდა იყოს: **შეცოდების გრძნობა**. მეოთხე სვეტში ქვევიდან მე-20 სტრიქონში არის: **კათიგერია** უნდა იყოს **კათეგორია**. და სხვ.

საერობო არჩევნების რიცხვში ნათქვამია რომ ქართულ გიმნაზიაში № 1 მიიღო 548 ხმა. უნდა იყოს 458.

## თბილისი.

— **მისიის დაბრუნება.** პროფესორ ცუგმაიერის მეთაურობით თერგის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად წასული გერმანელთა მისია გუშინ გზიდან უკან დაბრუნდა, რადგანაც საქართველოს სამხედრო გზაზე რამდენიმე ალაგას თოვლის ზვავი ჩამოწოლილა.

— **ქართულ სამხედრო კავშირის დახურვა.** ამას წინად მთავრობამ გადასწყვიტა, ქართველთა სამხედრო კავშირი გააუქმოს. ამის გამო 15 აგვისტოს შესდგა ხსენებულ კავშირის კომიტეტის სხდომა, რომელზედაც აირჩიეს 2 წარმომადგენელი კავშირის დამაარსებელნი ბორუჩიკი პლატონ ისაკის ძე. ლეჟავა და ჯარის კაცი იაკობ სირაძე. მთავრობასთან მოსალაპარაკებლად კავშირის დაკეტვის შესახებ წარმომადგენლები გუშინ უკვე წარუდგინენ მთავრობის თავმჯდომარეს, სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებსა და ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს.

## † პარუჩიკი გოგი კიკნაველიძე.

ამ დღეებში სახერის ფრონტის მეომარმა პარუჩიკმა, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრმა გოგი კიკნაველიძემ თავი მოიკლა. ამ ამბავმა ყველა მის ნაცნობ მეგობრებს თავზარი დაგვცა. როგორ, მარათ მხიარულო, მარად მომავლისადმი იმედებით აღსავსე გოგი, რამ შეცვალა ეგრე შენი გული და გონება, რომ შენი თავი შენ თითვან გაიმეტე დაუნდობელი ტყვიით. ნუ თუ ერთ წამსაც არ წამოგიდგა თვალ წინ შენი ტანჯული სამშობლო, რომელსაც გარს რკალივით არტყია მტრები და განადგურებას ემუქრებიან, რომლის დასაცავათ ერთის მხრით შენ თვითან იბრძოდი და გმირულათ იგერიებდი გამხეცებულ მტერს. ნუ თუ ერთ წუთსაც არ მოგაგონდა ჯერ კიდევ შავებში მოსილი შენი დები, ბაბო და მარო, განა კიდევ ეჭივრებოდა მათ მწუხარება?

ნუ თუ არ მოგაგონდა შენი საუკეთესო ამხანაგები, რომელთაც გულს სამუდამოთ დაუმწუხრებდი. მაგრამ რას იზამ, არის წუთები როდესაც ადამიანში გაიღვიძებს ცხოვრებისადმი სიძულვილი. რამდენათაც ადამიანი მაღალი გონებისა და მთელი ხასიათის არის, იმდენათ უფრო იკიდებს ფეხს მასში შეგნება ცხოვრების არარაობისა, და შენ როგორც მთელმა და მაგარ არსებამ ვერ აიტანე ეს წუთები და ჩვენდა საუბედუროთ განიგმირე შენი თავი. მშვიდობით საყვარელო ძმაო გოგი, შენი მხიარული სახე მარად იქნება ჩემს გულში.

ვანო იაშვილი.

## მეორე ცხენოსანი პოლკი.

დიდი ხანია არ არის მას შემდეგ, რაც ქუთაისში გადმოყვანილ იქნა მეორე ცხენოსანი პოლკი. ჯერ არც კი დამთავრებულა პოლკის ქონების გადმოტანა ბორჯომიდან, რომ პოლკის უფროსს, პოლკოვნიკ მხეიძეს, მოუვიდა ბრძანება სამხედრო მინისტრ გიორგაძისაგან, დაუყონებლივ, გადაყვანილ იქმნას მეორე პოლკი „ცარსკია კოლოდცაში“. საქართველოს მხედრობის შესახებ ბევრი დაიწერა. მეორე ცხენოსან პოლკის შესახებ თითქმის არაფერი. მხოლოდ გაზ. „საქართველოში“ პატარა დახასიათება. ცოტა გინება გაზ. „ერთობაში“. ვსთხოვ ყურადღებას მკითხველებს და ეროვნულ საბჭოსთან არსებულ სამხედრო სექციას.

პოლკის შედგენის ბრძანება გაცემული იყო წარსული წლის დამლევს. ადგილად დანიშნული იყო თბილისი. იანვრის პირველ დღეებში გამოირკვა, რომ პოლკში ჩაწერის მსურველია მრავალი, ხოლო როდესაც იანვრის დამლევს ჩამოვიდა ეშელონი ქუთაისის არჩეულ მოსწავლე ახალგაზდობისა, იქ დამკვიდრდა სიცოცხლე და სილამაზე, ზრდილობა, თავაზიანი მორჩილება, და პირველად ყოვლისა იმედი. ყველა იტყვის: პირველი მაგალითი შეურყეველ დისციპლინისა ეს ახალგაზრდობა იყო. პოლკში არ იყო არც ერთი შემთხვევითი აფიცერი, ყველას ჰქონდა ბრძოლის წარსული და გამოცდილება, და რწმენა მოვალეობის და სამშობლოს ერთგულებისა.

დაიწყო ვარჯიშობა ჩქარი, მაგრამ მეტად ნაყოფიერი. ახალგაზრდობამ გახსნა ენერგია, და ღირსეულად მიიღო უფროსების მადლობა და სიყვარული. ოცნებათ გახდა მოვალეობა, იარაღათ —

თოფი და ხმალი. არ გასულა თვეზე მეტი, რომ პოლკმა მიიღო ბრძანება ბორჯომში გადასვლის შესახებ. ნაწილი გაიგზავნა ახალი ბინების მოსაწყობად, ნაწილს ებრძანა „ცეხგაუზის" გადარჩევა, ნაწილის ქონების გადაზიდვა. ვარჯიშობა დიდი ხნით შეწყდა: პოლკის გადაყვანა დაუყონებლივ, შეუძლებელია, იგი უფრო რთულია ვიდრე გამოუცდელ კაცს ჰგონია მოეწყო ახალი ბინა. ვარჯიშობა კიდევ უფრო აჩქარდა, დაკარგული დროის შესავსებად. დაიწყო გარეშე ინტრიგები, ყველამ იცის, რომ ინტრიგებისთვის ბევრი მიზეზი არ არის საჭირო, უკულტურო ქვეყანაში, აშკარაა ინტელეგენციის ხვედრი: მეორე ცხენოსანი პოლკი ინტელეგენტების პოლკი იყო. ცოტა ხნის შემდეგ ბრძანება მოვიდა აწყურისკენ მიმავალ პოზიციების დაკავების შესახებ. მიღებულ იქნა სისტემა „ესკადრონებით" მორიგებისა. არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა სიმხდალისა, კანონის და დისციპლინის დარღვევის, ყოველ დღიური ლოდინი და სურვილი შეტევაზე გადასვლის. 23 აპრილის ბრძოლამ სამუდამოდ მისცა ამ პოლკს გმირის სახელი. მაშინ როდესაც ჯარის სხვა ნაწილმა ბრძოლას, გამოქცევა ამჯობინა, პოლკმა ღირსეულად დაიცვა თავის მოვალეობა, და მიუხედავათ მსხვერპლის, მისი გმირობა ცნობილ იქნა. ზავის შემდეგ ბრძანება უკან დაბრუნებისა, შემდეგ ბრძანება ბაკურიანში გადასვლისა, შემდეგ ბრძანება ქუთაისში დაბინავებისა. პოლკის ბინის გამოცვლა ჯდება რამდენიმე ათასი მანეთი (ეს ბევრმა არ იცის). ნაწილი როტმისტრ დენისოვის მეთაურობით იგზავნება საჩხერის ფრონტზე, დენისოვის სახელმა ყველა მიიმხრო. ამ ნაწილის თავგანწირულობა, როგორც სხვა მრავალი დამტკიცებულია ოფიციალურად. ლეჩხუმის ფრონტზე დაკარგული ზარბაზანი, დაიბრუნეს მეორე ცხენოსან პოლკის ოფიცრებ მებურიშვილმა და ამირეჯიბმა.

პოლკი დაბინავდა ქუთაისში, უკვე თან და თან დამყარდა კეთილი დამოკიდებულება პოლკსა და საზოგადოების შორის. აქაც არც ერთი შემთხვევა წესიერების და კანონის დარღვევისა არ ყოფილა.

წასულ კვირას, გერმანელების მიერ გამართულ პარადის დღეს, ქუთაისის მილიციის უფროსმა ვ. სულაქველიძემ აჰყარა იარაღი მეორე ცხენოსან პოლკის ოფიცერს პორუჩიკ ჭავჭავაძეს. მიზეზი ის იყო რომ ოფიცერი ჭავჭავაძე ჩაერია საქმეში, როდესაც მილიციის უფროსი უყვიროდა მეორე ცხენოსან პოლკის გუსარებს. გარდა იარაღის ჩამორთმევისა მილიციონერების დახმარებით, ადგილი ჰქონდა პირად შეურაცხყოფას. ჭავჭავაძე დაემორჩილა ძალას მაგრამ, როგორც უდანაშაულოდ შეურაცხყოფილმა ოფიცერმა სულაქველიძეს გაუგზავნა სეკუნდანტები. პასუხი დროზე ვერ მიიღო. ამის შემდეგ ჭავჭავაძემ უხერხულად დაინახა პოლკში დარჩენა და სთხოვა „კომანდირს" პოლკიდან განთავისუფლებია, ამ ამბავის შედეგად, გუშინწინ მეორე ცხენოსან პოლკის კომანდირს, პოლკოვნიკ მხეიძეს, სამხედრო მინისტრ გიორგაძისაგან მოუვიდა დეპეში:

„მეორე ცხენოსან პოლკს ვუბრძანებ დაუყონებლივ გადაყვანილ იქნას თუქურმიკაში (ცარსკია კოლოდცაში).

მგონი სწორედ გუშინ გათავდა პოლკის ქონების ბორჯომიდან გადმოტანა. პოლკში მოიყარა ბევრმა ახლად გაწვეულმა ახალგაზდამ თავი. ყველა იმერეთიდან არის. რა უნდა თუქურმიკაში (ცარსკია კოლოდცაში) ამ ჯარს? იქ ხომ ომი არ არის? პოლკი ხომ ახლა ივსება განახლებულ ძალებით. მისი ამდენი ბინის გამოცვლა ხომ ბევრი უჯდება მთავრობას? რა არის მიზეზი? შეიძლება თუ არა იმის შემდეგ რაც მე აქ ავღნიშნე, სამხედრო ძალების მოწესრიგება? მე არ ვიცი ვინ მომისმენს? შეიძლება მხოლოდ მომავალი კანონმდებელი?

ლაერტი.

## პროვოკაციის ნიმუში.

აგვისტოს 16 საჩხერის ფრონტიდან ქ. ჭიათურაში მოვიდა მთავრობის ჯარის ნაწილი. ჯარის კაცები დაღლილები იყვნენ და თან შიოდათ. ამ დროს სასადილოში პურის საჭმელად წავიდა ჯარის უფროსი კ. პ. კანდელაკი და განკარგულება გასცა ჯარისკაცებისთვის საჩქაროდ მიეწოდებიათ საჭმელი. ამ დროს ერთად თავმოყრილ ქვეითა ნაწილის ჯარისკაცებთან მოვიდა ადგილობრივი მილიციელი და შემდეგნაირათ მიჰმართა: „ამხანაგებო, ვერ გრძნობთ რომ ტყავს გაძრობენ, ოფიცრებს აქეთ იქეთ თავის ნებაზე სათრევად მიჰყავხართ, თვითონ ქეიფობენ, თქვენ კი შიმშილით გხოცავენ, თქვენს ფულს ჭამენ მიემხრეთ გვარდიას, წამოდი მაგ კონტრევოლუციონერი ოფიცერი დავიჭიროთ. ახალგამოწვეული ჯარისკაცები მზად იყვენ გაჰყოლოდენ ბნელ მოციქულს მაგრამ ამ დროს მათთან მივიდა ცხენოსან ნაწილის ჯარის კაცი შეუტია. საქმის გამორკვევის შემდეგ ჯარის კაცებს უნდოდათ პროვოკატორის სიკვდილით დასჯა მაგრამ სამხედრო დისციპლინა დაიცვეს და უფროსის ბრძანების მიუღებლად ეს ნაბიჯი არ გადადგეს. ჯარის კაცები მოელიან ხსენებულ პროვოკატორის შესაფერისად დასჯას.

უნდა აღინიშნოს რომ მაგვარი მოშხამული ენით და გაზეპირებულ მყრალად მოლაპარაკე ბევრია ამ ჟამად სხვადასხვა ვითომდა „რევოლუციონურ ორგანიზაციებში „რომლებიც შხამის ნთხევით ვითომ ქვეყანას ემსახურებიან.

ირაკლი.

## მუსიკალური სკოლა ქუთაისში.

პატივცემული მუსიკის მასწავლებელი ელენე კონიევისა—ივანე ზაინდუროვის ასული ხსნის ამ მოკლე ხანში საშუალო მუსიკალურ კურსებს, რომელშიაც კურსების დირექტორად და გამგედ მოიწვია ცნობილი და გამოჩენილი არტისტი— პედაგოგი კომპოზიტორი ლეონიდე კნინა. ამ კომპოზიტორის შესახებ ცნობები ბევრ სხვადასხვა რუსულ და საზღვარგარეთულ ჟურნალ გაზეთებშია.

ლ. კნინამ პირველად გახსნა მუსიკალური სკოლა პეტროგრადში 1870 წელში სკოლამაც მოახდინა დიდი შთაბეჭდილება პეტროგრადის საზოგადოებაში. ამ სკოლისა, ბევრი მოწაფეთაგანი რომელთაც დაამთავრეს ეს სასწავლებელი თავი შესწირეს პედაგოგიურ მოღვაწეობას მუსიკალურ სარბიელზე და კიდევაც მოიხვეჭეს პოპულიარობა.

დიდებულმა, სახელოვანმა კომპოზიტორმა პროფესორმა გლაზუნოვმა, დირექტორმა პეტროგრადის კონსერვატორიისა და ცნობილმა დირიჟორმა ხესსინმა პირველ-დაწყებითი მუსიკალური სწავლა მიიღეს ბ. კნინასაგან.

ბ. კნინას მიერ გამოშობილია და დაბეჭდილია რუსეთში და საზღვარგარეთ 240 ზე მეტი ოპუსი (opus) მუსიკალური თხუზულებებისა—სალონური, კლასიკურ—და პედაგოგიური ხასიათისა.

ბ. კნინამ პირველი კონცერტი დადგა საზღვარგარეთ ქ. პრაგაში 1857 წ.

როგორც პიანისტი შემსრულებელი კნინა ეკუთნის გამოჩენის პირთა რიცხვს.

1882 წელში ქ. თბილისში ბ. კნინამ გახსნა მუსიკალური სკოლა და მასთან ერთად 12 წლიწადზე მეტს ირიცხებოდა ინსპექტორათ მუსიკალურ ნაწილისა თბილისის წმ. ნინოს გიმნაზიაში, სადაც მოწაფეთაგან გამართულ იქმნა მუსიკალური საღამო კნინას სახელობაზე.

ქ. თბილისში არტისტულ საზოგადოების დარბაზში გადახდილ იქმნა 50 წლის იუბილეი კნინას სახელობაზე. დარბაზი იყო სავსე მსმენელებით და მუსიკალური პირებით მთელი თბილისისა, სადაც გაუმართეს მას დიდი ოვაციები, მიეგებენ მას, წაიკითხეს შესაგებებელი სიტყვები და ადრესები, მასთან ერთად მიღებულ იქმნა მთელი რუსეთის კუთხეებიდან დეპეშები სხვათა შორის მისი ყოფილი მოწაფისაგან პროფესორ გლაზუნოვისაგან აგრეთვე მიართვეს ბევრი ნივთეულობა და გვირგვინები, ასე რომ თბილისის საზოგადოება კარგად იცნობს მას.

ელენე ზაინდუროაშვილი-კონიევისა თვით არის ერთი მოწაფეთაგანი ამავე ბ. კნინასი.

ქ. კონიევისა აგერ უკვე 12 წელიწადია რომ მოღვაწეობს ქ. ქუთაისში, როგორც მასწავლებელი მუსიკისა და ბევრი მოწაფეთაგანი მადლიერნი არიან მისი სწავლისაგან.

ქ. კონიევისა არის ცნობილი პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებაში, როგორც მუყაითი, დაუღალავი და მცოდნე პედაგოგი.

მოინდომა რა მან, რომ ქუთაისში გახსნილი ყოფილიყო ამისთანა სასწავლებელი, რომელსაც უფრო მეტი ვრცელი მუსიკალური სწავლა-განათლება მოეფინა მსურველთა შორის, თავს იდვა მოწვევა ისეთი გამოჩენილი მოღვაწე პედაგოგისა მუსიკალურ ასპარეზზე, როგორც არის ზემოხსენებული პატივცემული ბ. კნინა.

ამნაირათ ქუთაისელ ახალგაზდობას ეძლევა საშუალება, რომ სხვა ადგილებში წაუსვლელად მიიღონ მუსიკალური განათლება თავიანთ დედა ქალაქში.

იმედია ქუთაისის პატივცემული საზოგადოება ჯეროვანი ყურადღებით მოეპყრობა ამ მოვლენას და შეეცდება, რომ მას შემდეგშიც ჰყავდეს ბევრი მცოდნე მუსიკისა ახლად აყვავებულ საქართველოს რესპუბლიკაში, რომელ მუსიკის მცოდნეთაგან იყოს დამტკბარნი მათი და სხვა მსმენელთა მრავალ ტანჯული ერის სული და გული.

ს. მ.

## სამხედრო ეკლესიების ნაციონალიზაცია.

თავისუფლების შუქმა და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეამ დღემდის კიდევ ვერ შეაშუქა საქართველოს ზოგიერთ ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო ტაძრებში. ძველი რეჟიმისაგან სულითა და გულით დამახინჯებული სულიერი მამები იმ ენის ნაცვლად, რომელზედაც ჩვენი განმანათლებელი წმინდა ნინო ჩვენში ქრისტეს სჯულს ქადაგებდა, რომელზედაც თამარ პრწყინვალე, თამარ მშვენიერი ბრძანებას სცემდა, რუსულ ენაზე ლოცულობენ და იმავე ენაზე ალოცებენ ბურუსში გახვეულ საბრალო ქართველ ხალხს. რუსიციზმით გაჟღენთილ და დამთვრალ ასეთ ხუცებს როდესაც ამხელ მათ უმგვანო ასეთ საქციელსს სიწითლის ნაცვლად პირზე ღიმილი მოსდით და თავს იმით მართლულობენ, რომ ღმერთს ყველა ენები ესმის და ქართულად ილოცებენ თუ რუსულად ეს მათთვის სულ ერთია. მოდით და ასეთ ადამიანებს სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავგანწირვა მოსთხოვეთ! ამ უგნურებს დღემდის ის ვერ შეუგნიათ, რომ „რა ენა წარხდეს, ენაც დაეცეს" და ვანადგურდესო. საუბედუროდ ძველი დესპოტიური მონობის ზედ გავლენით ქართველი ხარხიც, მცირე გამონაკლის გარდა, ისე შეშინებული და დამფრთხალია, რომ ასეთ ხუცებს ანგარიშს ვერ უწევენ და პროტესტს ვერ უცხადებენ, თუნცა აქვე ისიც უნდა აღვნიშნო თავის გულის წყრომამ სხვანაირი სახით და გზით კი ანხორციელებენ. ეს გზა ის გახლავთ, რომ ეკლესიას სადაც ასეთი „მოძღვრები" ბრძანდებიან, სრულიად ტოვებენ და სხვა ეკლესიებისაკენ გარბიან ერთი ასეთი ეკლესია ქუთაისის სადგურის მახლობლად არის. საქმე ისე იყო, რომ ამ ეკლესიის ბედი იჭედებოდა, მაგრამ ავმა და ბოროტმა სულებმა შეაფერხეს სხვადასხვა ნიადაგზე. იმედის სხივმა ამ ბოლო დროს ისევ დაიწყო ციმციმი ხსენებული ეკლესიის მოღრუბლულ ცაზე· ამ სხივის გამობრწყინვებას უნდა ვუმადლოდეთ დიდათ პატივცემულ და საქართველოში სახელ განთქმულ მოძღვარს მ. ტარასი ივანიცკის, რომელიც ამ უკანასკნელ ჟამს აქ მოხსენებული ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. სულითა და გულით [illegible] და [illegible] და კონსტანტინეს (ყოფილი ხაპიორის პოლკის ეკ.) [illegible] ეკლესიის აყვავების მოტრფიალენი და იმედი გვაქვს, რომ ეს მოძღვარი პირად ანგარებას არ ანაცვალებს ხალხისა და ქრისტეს მოძღვრების ინტერესებს. —

მ. ბუაჩიძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი:

უდროოთ გარდაცვლილ ექიმ სერგო ხეჩინოვის ხსნოვის აღსანიშნავად გვირგვინის ნაცვლად ამხ. ექიმმა სოსო ასლანიშვილმა გადმოგვცა ამხანაგებსა და მეგობრებს შორის შეგროვილი 370 მან. ქუთაისის გუბ. ღარიბ სტუდენტთა დახმარე საზოგადოების ფონდის გასაძლიერებლათ. აქვე მოგვყავს შემომწირველთა სია და რაოდენობა მათ მიერ გაღებულ წვლილისა: ექიმი დ. კოსტავა—50 მ. ექიმი მ. ნემსაძე—25 მ. ექიმი სტ. მურვანიშვილი 25 მ. ექიმი საბა ნიჟარაძე 25 მ. ექიმი ვ. მჭედლიძე - 25 მ. დ. კ. ჩიკვაიძე 25 მ. პ. გ. კლდიაშვილის ასული—25 მ. ც. პეტრიაშვილის ასული - 25 მ. ექიმი ს. ასლანიშვილი—20 მ. ბეითალი ი. გორგიძე 20 მ. ექიმი კ. კახიანი—20 მ. ექიმი ზ. ეზიკაშვილი—20 მ. კბ. ექიმი რ. პ. სვანაძის ასული—10 მ, ს. ნემსაძისა—5 მ. ექიმი ვ. მაჭავარიანი—5 მ.

ქუთაისის გუბ. ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს ზემოაღნიშნულ პირთ.

გამგეობის თავმჯდომარის მაგიერ.

ი. ცინცაძე.

რედაქტორი სარედაქციო კოლეგია.

## მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

1918 წ. 10 მარიამობისთვიდან

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით

### ქ. ქუთაისს მოდის.

თბილისიდან.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 9 | დილის | 5 საათ. | 30 წ. |
| საფოსტო | 3 | დილის | 8 | — 30 — |
| სამგზავრო | — 23 | საღამოს | 8 | — 10 — |

ფოთ ბათომიდან.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამგზავრო | № 24 | დღის | 2 საათ. | 20 წ. |
| საფოსტო | — 3 | ღამის | 10 | — 18 — |

ტყიბულიდან.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო | № 3 | დილის | 8 საათ. და | 15 წ. |

### ქუთაისიდან გადის.

თბილისისაკენ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 10 | საღამოს | 8 საათ. | 25 წ. |
| სამგზავრო | — 24 | ღამის | 12 | — 40 — |
| საფოსტო | 4 | დილის | 8 | — 45 — |

ფოთ-ბათუმისკენ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო | № 3 | დილის | 7 საათ. | 10 წ. |
| სამგზავრო | — 23 | საღამოს | 6 | — 40 — |

ტყიბულისკენ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო | № 4 | დღის | 4 საათ. | — — |

**დაკარგე** აგვისტოს 10 რკინის გზაზე სამტრედიიდან რიონის სადგურამდის მოწმობები: 1. მოწმობა პირველ უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შესახებ, 2. მეტრიკული მოწმობა, 3. სახალხო სკოლების დირექციისაგან მოცემული მოწმობა.

(ა—ა)

სწრაფმბეჭდავი სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.